

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის  
კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595155500

N 129  
11/04/2019

129-07-3-201904111714



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ვლადიმერ ნანაძეს

ბატონო ვლადიმერ,

გიგზავნით საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტს.

პატივისცემით,

ვერიკო კვიციანი

ვერიკო კვიციანი

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №  
2019 წლის აპრილი  
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნას განკარგულების პირველ მუხლის „ვ“ პუნქტი (თორნიკე ტიკაძე - კომისიის წევრი).

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე